

ირაკლი კობახიძე ბერძენ ხაღხს სამძიმარს უცხადებს

✘ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საბერძნეთში ხანძრის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო ბერძენ ხაღხს სამძიმარს უცხადებს.

„შეძრული ვარ საბერძნეთში ხანძრის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. საქართველოს პარლამენტის სახელით, გუდნოფერ სამძიმარს ვუცხადებ ჩვენს მეგობარ ბერძენ ხაღხს, გარდაცვრილთა ოჯახებსა და ახლობლებს“, – აღნიშნულია ირაკლი კობახიძის სამძიმრის წერილში.

საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ცნობით, ხანძრის დროს დაკარგული ორი ქართველიდან ერთს, მარინა მახარაშვილს მიაკვრიეს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. საბერძნეთში საქართველოს ელჩის, იოსებ ნანობაშვილის თქმით, ამ დროისთვის მხოლოდ საქართველოს ერთ მოქალაქეს ეძებენ. საელჩო მოქალაქეებს მოუწოდებს, დარეკონ ცხედ ხაზზე +306995779793 და მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებულ ფაქტებზე.

ბოლო მონაცემებით, საბერძნეთში ტყის ხანძრის მსხვერპლთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა.



საბერძნეთში რამდენიმე დღეა ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსს აღწევს. გუშინ ათენის სიახლოვეს მდებარე რამდენიმე დასახლებასთან ხანძრის რამდენიმე კერა ერთდროულად გაჩნდა. ცეცხლის გავრცელებას მშრალი ამინდი და ქარმა შეუწყობ ხელი.

საბერძნეთის ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებას უკვე მიმართა და ხანძართან საბრძოლველად დახმარება სთხოვა.

